საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2018

15.08.2019
www.geostat.ge

15.08.2019

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები
2018 წელი
(დაზუსტებული)

დაზუსტებული მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2018 წელს 1 265.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2017 წლის მონაცემებზე 35.5 პროცენტით ნაკლებია და 2.7 პროცენტით აღემატება 2018 წლის წინასწარ მონაცემებს.

შემცირების გამომწვევ ძირითად მიზეზებს შორის აღსანიშნავია მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის დასრულება, რამდენიმე საწარმოს გადასვლა საქართველოს რეზიდენტების საკუთრებაში, მოგება-ზარალის მაჩვენებლების დაზუსტება საწარმოთა მხრიდან, ასევე, არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორის მიმართ ვალდებულებების შემცირება (სასესხო დავალიანების დაფარვა).

საქსტატმა, მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციებისა და მის მიერ შემოთავაზებული მეთოდოლოგიის საფუძველზე, განახორციელა სხვა არარეზიდენტებისგან მიღებული სესხების რეკლასიფიკაცია. შედეგად, შეიცვალა 2007-2018 წლების მონაცემები საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია დაზუსტებული მაჩვენებლები:

დიაგრამა №1

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2007-2018 წლებში
(მლნ. აშშ დოლარი)



15.08.2019

ცხრილი №1. **პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა საქართველოში (მლნ. აშშ დოლარი)**

წელი	I	II	III	IV	სულ
2006	145.2	318.0	332.4	375.5	1 171.2
2007	330.8	375.3	470.6	588.0	1 764.7
2008	540.1	607.7	136.1	291.3	1 575.2
2009	114.5	178.3	179.1	194.9	666.8
2010	176.1	211.5	236.8	241.2	865.6
2011	222.6	273.1	309.1	329.2	1 134.0
2012	312.4	248.0	220.5	267.3	1 048.2
2013	291.8	224.1	271.6	251.6	1 039.2
2014	331.9	217.6	749.5	538.0	1 837.0
2015	343.4	493.2	531.1	361.3	1 729.1
2016	392.2	452.1	506.5	299.5	1 650.3
2017	411.7	394.0	627.9	529.0	1 962.6
2018	323.5	403.6	367.0	171.0	1 265.2

ცხრილი №2. **პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კომპონენტების მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)**

	2013	2014	2015	2016	2017	2018
სულ	**1 039.2**	**1 837.0**	**1 729.1**	**1 650.3**	**1 962.6**	**1 265.2**
მათ შორის:						
სააქციო კაპიტალი	535.8	1 150.7	1 283.9	1 805.7	1 091.3	803.4
რეინვესტიცია^	276.8	322.9	158.0	311.0	616.6	437.2
სავალო ვალდებულებები^^	226.6	363.4	287.2	-466.4	254.7	24.6

^ რეინვესტიცია - სხვაობა მოგება-ზარალსა და დივიდენდებს შორის.

^^ სავალო ვალდებულებებში აისახება სავაჭრო კრედიტები და სესხები.

2018 წელს რეინვესტიციის წილმა მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 34.6 პროცენტი შეადგინა. ცხრილი №3 ასახავს რეინვესტირებული თანხების წილს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში, 2013-2018 წლებში.

ცხრილი№3. **პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეინვესტიცია საქართველოში 2013-2018 წლებში**

	2013	2014	2015	2016	2017	2018
რეინვესტიციის წილი მთლიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში (%)	26.6	17.6	9.1	18.8	31.4	34.6

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და რეინვესტიცია საქართველოში 2013-2018 წლებში (მლნ. აშშ დოლარი)



2018 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები შემდეგნაირად განაწილდა (ცხრილი №4):

ცხრილი №4. **ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში 2018 წლის მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)**

	2013	2014	2015	2016	2017	2018
სულ	**1 039.2**	**1 837.0**	**1 729.1**	**1 650.3**	**1 962.6**	**1 265.2**
მათ შორის:						
აზერბაიჯანი	84.6	340.5	581.7	555.1	462.0	246.4
ნიდერლანდი	159.2	420.5	164.9	77.3	354.5	208.4
გაერთიანებული სამეფო	55.2	108.9	398.8	85.2	247.5	178.8
აშშ	53.9	184.4	18.9	59.3	79.3	102.6
ჩინეთი	101.1	220.1	66.9	25.5	19.4	75.7
ჩეხეთი	43.6	52.0	16.7	87.5	129.1	75.0
პანამა	25.8	70.7	9.5	75.9	23.8	74.6
რუსეთი	7.8	87.9	52.4	28.4	51.3	69.7
ლუქსემბურგი	91.7	109.6	127.3	115.7	100.7	50.1
თურქეთი	51.4	72.3	74.9	220.7	256.1	49.6
დანარჩენი ქვეყნები	364.9	170.1	217.1	319.7	238.9	134.3

სამი უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნის წილმა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საერთო მოცულობაში, 2018 წლის დაზუსტებული მონაცემებით, 50.1 პროცენტი შეადგინა. ქვეყნების პროცენტულ სტრუქტურას განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით ასახავს სტრუქტურული დიაგრამა №3, რომლის მიხედვით, პირველ ადგილზე აზერბაიჯანი იმყოფება - 19.5 პროცენტით, მეორეზეა ნიდერლანდები 16.5 პროცენტით, ხოლო მესამეზე - გაერთიანებული სამეფო 14.1 პროცენტით.

დიაგრამა №3

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი 2018 წელს (%)



პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილება ეკონომიკის სექტორების ჭრილში, 2018 წლის მიხედვით, მოცემულია ცხრილში №5:

ცხრილი №5. **პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით, 2013-2018 წლებში (მლნ. აშშ დოლარი)**

	2013	2014	2015	2016	2017	2018
სულ	**1 039.2**	**1 837.0**	**1 729.1**	**1 650.3**	**1 962.6**	**1 265.2**
მათ შორის:						
საფინანსო სექტორი	174.5	126.6	202.0	123.4	307.8	270.7
მშენებლობა	79.6	324.5	144.4	176.5	172.5	173.0
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	151.6	440.5	608.2	662.8	524.9	163.0
დამამუშავებელი მრეწველობა	107.3	253.6	104.7	123.4	99.3	140.0
უძრავი ქონება	69.7	168.5	94.4	55.4	215.3	131.4
ენერგეტიკა	246.1	190.0	123.7	145.0	280.6	120.8
სასტუმროები და რესტორნები	-6.6	140.6	170.2	120.2	106.9	77.8
სამთომოპოვებითი მრეწველობა	43.7	45.3	88.0	49.7	51.8	62.2
დანარჩენი სექტორები	173.3	147.3	193.6	193.9	203.5	126.3

2018 წელს სამი უმსხვილესი სექტორის წილმა (განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით) 48.0 პროცენტი შეადგინა. ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია საფინანსო სექტორში განხორციელდა და 270.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საერთო მოცულობის 21.4 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება მშენებლობის სექტორი 173.0 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე - ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა 163.0 მლნ. აშშ დოლარით.

2018 წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროცენტული განაწილება, ეკონომიკის სექტორების მიხედვით, მოცემულია დიაგრამაში №4:

დიაგრამა №4

უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2018 წელს (%)



წყარო:
1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (სტატისტიკური გამოკვლევა "საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ");
2. საქართველოს ეროვნული ბანკი;
3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

შენიშვნა: ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით;

განმარტება: ინვესტორის მიმართ ვალდებულების შემცირებაში იგულისხმება დივიდენდების გაცემა, სავაჭრო კრედიტის დავალიანების დაფარვა, სესხისა და პროცენტის თანხის გადახდა.

15.08.2019

მონაცემების კორექტირება ხორციელდება საქსტატის მიერ შემუშავებული სტატისტიკური ინფორმაციის გადასინჯვის პოლიტიკის შესაბამისად (რეგულარული გადასინჯვის პრინციპის საფუძველზე) რესპონდენტების/ადმინისტრაციული წყაროების მიერ მონაცემების დაზუსტების შედეგად.

2018 წლის მარტიდან (სსფ-ის რეკომენდაციის შესაბამისად) საქსტატმა დაიწყო საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მდგომარეობის ამსახველი სტატისტიკის გამოქვეყნება ინტეგრირებული ფორმატით, რაც საშუალებას აძლევს ეკონომიკურ სუბიექტებს, რეგულარულად მიაწოდონ საქსტატს დაზუსტებული ინფორმაცია. საქსტატი, თავის მხრივ, იყენებს აღნიშნულ შესაძლებლობას და მუდმივად ახორციელებს მონაცემთა განახლებას სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხის ამაღლების მიზნით.

საკონტაქტო პირი:
ნინო მაისურაძე, ტელ.: (+995 322) 36 72 10 (303).
E-mail: nmaisuradze@geostat.ge